

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### „პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) *კანონპროექტის მიღების მიზეზი:*

საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ ნორმებთან „პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) *კანონპროექტის მიზანი:*

„პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან არსებული ნორმების ამოღება, საბიუჯეტო კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ა.გ) *კანონპროექტის ძირითადი არსი:*

კანონპროექტის შესაბამისად „პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ“ კანონიდან ამოღის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, ვინაიდან აღნიშნულ საკითხი განისაზღვრა საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისი ნორმით.

ბ) *კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:*

ბ.ა) *კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:*

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) *კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:*

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) *კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:*

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) *სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:*

კანონპროექტის მიღებით სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ დაეკისრება.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს

**ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან მიმართებაში.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორები არიან - საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, ზვიად კუკავა, ლაშა თორდია, გიორგი მელაძე, აკაკი მინაშვილი და ვანო ხუხუნიანიშვილი.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

კანონპროექტის ინიციატორები არიან -საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, ზვიად კუკავა, ლაშა თორდია, გიორგი მელაძე, აკაკი მინაშვილი და ვანო ხუხუნიანიშვილი.